თავისუფლებას რა სჯობს! მაგრამ, ვაი, რომ მისი მოპოვების დროს ვეილით, ნაცარტუტად ვაქცევთ, ბოროტად ვინაივებთ ერის სულს, მის ზნობრივ მწვერულს!

გვახტობს იმ საზოგადოებამ, რომელიც მუდამ იყო და რჩება ხალხის, მამულის სამსახურში და რუმუნებელი ვართ, მათ ისევე აწუხებთ ჩვენში განაღებელი უსინდისო ლეზ-მიცემობა, თუ რკეთო მანია და სხვა სიმბინჯებები, რომლებიც ასე ფართოდ მოვიკიდა ფეხი ჩვენში გამეფებული ანარქიის პირობებში!

უზნეობას არ გვაპტიებს ჩვენი მომბეალო!

აბა, რა დავარქვათ იმას (სხვა დანარჩენს რომ თავი დავანებოთ), რომ ამ ეკონომიკური სოციალის პირობებში ჩვენი მომავლის — ბავშვების სასწავლო ნივთები თურქეთის ჰაზარზე იყიდება?!

ვის ვართმევთ და ვისთვის მივცაქვს?!

განჯაშის ზარები — უნდა შემოვიკრაო!

უნდა აღვავსოთ ეს უაზრდები მდღეობა ღმერთს, არიან კეთილი აღმზიანები; ამას წინათ ზაქაროვლის სახელმწიფო სახელო კონტროლის სამსარგებლო ფოთის სახალოს შიერ (უფროსი — შურად ხუაფი) აშოღებულე უნა ათხობით ცალი სასწავლო ნივთი — რვეულები, ფაქრები, ავოკალმები!

ამორღებულ ნივთები ვაღვიცა ხაქაროველის დემოკრატიული საზოგადოების გუროის ხადროშის ღანჩულის ჩაიოხულ ორგანიზაციას

(თავმჯდომარე — კუკური კუკულაძე), რომელმაც იგი გაანჯაშა რაიონის სკოლებში იმ მონწილეობებზე, მატერიალურად რომ უფრო, ანეც — მრავალრიცხოვანი ოჯახების შევლებზე აღნიშნული სასკოლო ნივთები ვაღვიცა ღანჩულის კორპორაციამ, ვინაი ამ საშუალო სკოლებს, სკოლა-ინტერნატს, საშხატრო სკოლას..

ეს წაღობა!  
ეს კველმოქმედება!  
ხარაკალა მათ!

ჩვენი შეიღებისათვის, მომავალი თაობისათვის ზრუნვა დიდი ზნეობაზე ხაქვილია, რაც უთუოდ დასაფასებელი და სამგალითია!

ამ წერილით ჩვენ გამოვხატავთ ჩვენი საზოგადოების იმ ნაწილის ნებას, რომელიც საჭიროებებს სეკონდული დღით არის დაინტერესებული. იბრები დემოკრატიისა და თავისუფლებისათვის, აწუხებს მამულის ზედი.

ერის ხინდის ნუ გავცვლით ვროშებზე, ნუ ვიქნებით ჩვენი ტრადიციების შემდეგვინი, კუპკიან ხუდის ნუ გამოვფენთ, ჩვენს შეიღებს ნუ წაგართმევთ!

ეს უზნეობაა, დაეცემა, ვახრწანა.  
თ. პილპა — პირველი საშუალო სკოლის დირექტორი,  
ბ. შაბუნიძე — მეორე საშუალო სკოლის დირექტორი,  
მ. ბოგინაიშვილი — მესამე საშუალო სკოლის დირექტორი,  
ბ. ჯიქიაშვილი — სკოლა-ინტერნატის დირექტორი,  
შ. ბარბაქაძე — საშხატრო სკოლის დირექტორი.

დ. ღანჩუაძე



# ჩვენს შეიღებებს - რვეულებს

მეზობელმა ვამიხილა: მივღვიარე ანდოქსის მე ვიწა ვერ ვაგაქვე და წავედი იგივეთში..

რა გვინათ, იგოვით ინდოეთზე წაქვებიანი! — იგიღება ევალფერი, რაც თხილისში წაქვებიანი!

ახლა გორის იტებს! გასცილდით! მანქანით ხარ! ვაჩქარე თუ უიდე, რაც იქა ექვთ, არ იწანო, ძმავ, მერე!

ახი — „ჰაქა“ სიგარეტი, თუშანი ღირს დღევის ჩირი.. ცოლ-შვილს ჩირს თუ არ უქვიდი, გამოდხარ წაღვი ვირი!

ბუთახია ვოქის ფხი (ჩიბებს ხელი გაიხვით!) კეთებ: „როდის დამკალ-მეტიქი!“ — „გუშონ მოკვი თავიხით!“

ჩინი ვიწა: რა ვიწა და ჩინი თურქეთი-ინდოეთში! — აგერაა, ძმავ, გორი, ხაშური და იგოვითი..

შემაინ მერკაბილიშვილი

## თუ გსურს!..

თუ გსურს, იხმარაღ-იშაპაპასო, — უნდა შეაპარა სარჯის საბაშონს და თამსსაყრალად გეძნება ფულო, არ გბმინდება სანძე საბაზროლი..

ნიანბი

## ს ი ზ მ ა რ ი

ას წელს აცოცხლოს გამჩენმა,  
წუნხელ რომ კაცი შეხიზმრა,  
მთა-მთა ფრთხილად რომ ჩამოხუვა  
ბილიკს, მონატულს ზეცისფრად!

მოვიდა, გულით დალოცა  
გახსნილი კარი ერისთვის  
და წუთისოფლის ფანქრიდან  
გასტყორცნა კარიერისტი!

ყველა გულბოროტს გახადა  
უჩინმაჩინის ბეჭთარი,  
ბზები გადუქრა ყველა ქურდს,  
უჩაღს, მლიქვნელს და მექრთამეს!

ყველას მოჰკითხა მამულის  
ვალი საკუთარ უფლის წინ  
და განარიდა ხავარძლებს  
უქნარები და უღირსნი!

ფეხდაფეხ შემოიარა  
მიწა, ავსუღთა ნატორი,  
და ეამბორა, ეინც ნაბა  
ნამუსის ქუდის პატრონი!

გამომღვიძა, წამოვდექ,  
მივხედ-მოვხედე გარემოს.  
ქუჩაში ვილაც მღეროდა:  
„ჩემო სამშობლო მხარეო!“

მთებიდან ბარის ხანაზებს  
შუქს მფჳნდა დილა ცისმარი,  
რომელსაც გასანადღებლად  
ჩაბარდა ჩემი სიზმარეო!

## და სხვები...

### ბარათი ერთი საამჟამოდან

ჩვენ ვიმარჯვებთ ყველა ერთად,  
მაგრამ ხდება ასე ხშირად:  
სამ-ოთხ კაცს რომ ჩამოთვლიან,  
მე ყოველთვის „და სხვებში“ ვარ!

ცოლი ცხარობს: „შენ ხადა ხარ,  
მიოხარ, ხანამ არ შევშლილვარ!“  
მე ვამზვიდებ: „გულს ნუ იტყხ,  
გჭეროლჯს, რომ „და სხვებში“ ვარ!

გეზვეწებით, ერთხელ მაინც  
გამიჩხანათ არსებითად?  
ან თქვით, ვინ ვარ, ან საჭაროდ  
ამომშალეთ „და სხვებიდან!“

## ძ ა ლ ლ ი

ძალდი უფს.  
აფრთხოვს ყველა ხატანას  
და უხმენ.  
რაგინდ იუო დაღლილი,  
მაგრამ ძნელია იმის ატანა,  
ადამიანი რომ უფს ძალღვივით!



## მ ა ლ ა ზ ი ა შ ი

აბა, მოვიდა ერთი მკვნეხარიც  
და ისიც ჩემს წინ დადგება, ალბათ!  
„ვედარ წაესულვარ შინ და ეს არის!“ —  
მოხუცებულზე თქვა ვილაც ნარბმა.

მე ამიბორგა გული დაკრილი,  
სიტყვა დაუფემე უცნობ ინდივიდს,  
და ჩემს ფიქრებში მიხი აჩრდილი  
დაბორიადობს დღემდე ბინდივით!

## კ ა ს უ ს ს ა რ ვ ე ლ ი ! !

მსურდა, მენახე ბურჯად ქალების —  
რად შეიღებე ლურჯად თვალები?!

დროის მსახვრალი ხელის უხლები,  
რად დააშორე კაბას მუხლები?!

ოქროს ძეწკვი რომ გულში ჩაიკარ,  
რად მოითხოვე მაშინ „ლაიკაც“?!

გულის შემძვრელი ტოლი ბიჭების, —  
გრძელი ნაწნავი, — რად შეიკერი?!

რატომ მალდებდა დროგამოშვებით  
მძიმე ქუსლები შენი ქოშების?!

მზეში ფრიალი რად არ აცადე,  
ღვინჯი შლაპას რად ანაცვალე?!

ვუკაცის გულის გახანღებნი,  
რად აიჭრეულე ჩემის ეელები?!

მე ამ კითხვებზე პასუხს არ ველო,  
რადგან მოდაა შენი მფარველი!

## შ ე გ ო ნ ე ბ ა

მისახვეჭრს მიხვდი  
და სხვის კარნახს ნულარ უჭერი,  
როცა ფიქრები გაგაბრუებენ!  
ნუ იწყებ კამათს,  
თუ შენს ირგვლივ სხედან მუნჯები!  
ნუ იწყებ უვირილს,  
თუ შენს ირგვლივ სხედან ყრუები!  
თუ შენ არც ყრუ ხარ  
და არც მუნჯი ხარ, —  
ფრთხილად იუავი,  
ხანამ უფაღს არ დაუსჯიხარი!

## ა ვ ტ ო მ ო ს ვ ა რ უ ლ ი ს ო ნ ო ლ ო ბ ი

ავტომანქანა ვიჟიდე  
და გავეზარე ჯალაბი,  
მერე სახლის წინ „უიგული“  
ჩემს ძალღთან ერთად დავაბი!

და ყოველ დღით მხვდებოან,  
ვით ძმები, ერთუროს შეზრდილნი:  
მურიახათვის რძე მიმაქვს,  
მანქანისათვის — ბენზინი!

ვაქებ ოთხფეხა მეგობარს,  
მიხი სიფხიზლე მაშხნევეს,  
როცა ბორბლებთან ვაოულობ  
ვილაცის შარვლის ნახევებს!



საქმედური

რა ლამაზი ზე გამხმარა  
შენს ეწოში. მარანთან..  
მახხენდება ის დღე. როცა  
მიხი ჩრდილი გფარავდა..

სულ რომ ყანწებს ატრიალებ.  
ტყბილ ღვინოს სვამ. ემინე.  
ერთი ყანწი წყაროს წყალი  
ზეს ვერ დააღვეინე!!




ფიქრი პოეზიანა

სადაც პოეზიის  
ვერ პოვეს გახადები.  
მოთხრობის სტრიქონებს  
ტეხენ და...  
ლექსად ახადებენ!  
გზა გვასწავლეო! —  
არ სთხოვენ რუსთაველს.  
ისე მიდიან  
ციხის ახადებადი.  
და ზის ცხრაკლიტულში  
ლექსი ჩერუტქმელი —  
გულის მალამო და  
გულის დამთუტქველი..



— ნახ. ი. გვილაპანძი



— ბატონებო, ჩაი და კალაშნიკოვი თქვენ შეგვიკვებეთ?





პაპარა ზღაპარი დედამისის

ურჩხულეთის მუშაუნაში ეცნაური რან მოხდა. არა, უცნაური რა უნდა მომხდარიყო ამ ცოდვით საესე და ბუნების ფანტაზიით აჭრელებულ დედამიწაზე. მაგრამ მაინც უცნაური იყო იპიტომ, რომ ურჩხულების ნაირ-ნაირობას მაინცა ჰქონდა საზღვარი. მართალია, ზოგი დიდი იყო, ზოგი — მთბცრო. ზოგი — ეშვიანი, ზოგი — ლოჯიანი, ზოგი — ჯაგრიანი, ზოგი — ეკლიანი, ზოგი — მწვანე, ზოგი — ლურჯი, რუხი, ვერცხლისფერი და მოყვითალოც კი. მაგრამ ახალგამოჩენილი ურჩხულის ფერისა მანამდე არავის არაფერი ახსოვდა: გამოიჩნეა ვეება, წითელი ურჩხული..

წითელი ურჩხული ვიღას გაუგიაო? — აყვანდნენ ურჩხულეთის ბინადარი. მაგრამ ახალგამოჩენილი ურჩხული მარტო ფერით კი არა; საქციელითაც განსხვავდებოდა სხვა ურჩხულებისაგან ზომითაც და ფორმითაც. ზომით, როგორც ვითხარით, ევება იყო. ფორმით ჩვეულებრივი ურჩხულების თითქმის ყველა ნიშანს შეიცავდა. მაგრამ მაინც ბევრი რამ ჰქონდა განსხვავებული. ჯერ ერთი, ევება კუდი მრავალტოტად განშტოებოდა და ზოგ ტოტს რომ მიწაზე მიათრევდა. ზოგი მიწის ქვეშ ჰქონდა დამალული. უამრავი ფეხი ჰქონდა, ზოგზე ნატიფი თითები ლამაზი, წითლად შეღებილი ფრჩხილებით უმთავრდებოდა. ზოგზე კი გრძელი, კაუჭი, ბასრი ბრკყალები მოუჩანდა. ეკლიანი ჭაგარი მთელ სხეულზე ეყარა და სისხლისფრად უღლავდა. გარდა ამისა, უხილავი ხიფების უზარმაზარი ხლართები ჰქონდა გაშვებული მთელს საურჩხულოში და ურევდა ქვეყანას. ამ ხიფების მამორავებელი ტენი ჩვეულებრივ, ურჩხულის თავში კი არ იდო.

არამედ ჯერ კვარცხანში, ორთავიანი არწივის კუჭში რომ ინახებოდა სცივლეთში. რომელ ურჩხულსაც ეს ხიფები შეუძევბოდა. ტრეჩავდა და აწივბდა. ზოგს კბილი ჩამოსძვრებოდა ისე, რომ მიზეზს ვერ აღგენდა. ზოგს სხეულის რომელიმე ნაწილი მოაღებოდა, ზოგს თავი სტკიოდა და ზოგს მუცელი გვრებდა. იცოდნენ ურჩხულებმა, რომ ყველაფერი ეს რაღაცნაირად წითელი ურჩხულის ბრალი იყო, მაგრამ ვერაფერს ახერხებდნენ ახლა — საქციელი: სულ იმას გაიძახოდა. — აწვტოზი ვარ ურჩხულებს შორისო! არავის ვერიკი, პირიქით, ყველა ჩემს მოშობას ცდილობსო! თუმცა ვინ დაუჯერებდა? გაგიოთ, ანგლოზი — ბრკყალებით, ეკლიანი ჭაგრით, მრავალტოტა ხერხივით კუდით, ორკაბი ენით, საშინელი, ცეცხლისმფრქვეველი ხახით?

ჰოდა, ასეთი უცნაურობის გამო, ურჩხულებს რომ დრკონებს ეძახიან, წითელ ურჩხულს სრკონი შეარქვეს! სრკონი რომ პირს გააღებდა, ისეთი

მყალი გაზება ამოსიოდა, ნახევა — დედა მიწას წამლავდა, მაგრამ ვერაფერს აწყობდნენ საკოდნი ურჩხულები..

რამდენჯერმე კიდევ მოინდომეს ასეთი განსხვავებული, უცნაური სრკონის მოსპობა: კიდევ წაუთაქეს აქეთ-იქიდან, ზოგამ ტლინი მოსცხა, ზოგამ დინგი ამოჭკრა, მაგრამ ვერაფერი მოუხერხეს და თავი დაანებეს. მერე ერთმა ჭიობისფერმა ურჩხულმა გადაწყვიტა, — ზოგი მოტყუებით, ზოგიც ძალით უნდა რთკომე მოვაშროო ამ ქვეყანას სრკონით! კიდევაც მოაქდა თავზე და დაუწყო მის სხეულს უმრწყალად ჩხება, მაგრამ რომ დანიბნეს ჭიობისფერი ურჩხულის ასე გაძლიერება (თანაც წითელი ურჩხული მაინც არ ეცდებოდა), სხვა ურჩხულებმა იფიქრეს. — სრკონს რომ ამ დღეში ავღებეს ეს ოხერი, ჩვენ რას გვიხამსო! წაგმევენენ სრკონს და გადაარჩინეს! სამაგიეროდ, ჭიობისფერი ურჩხული მიჩნებ-მჩნებეს და დაანებეს თავი..

როგორც ყველა ცოცხალი არსების სხეულზე, ურჩხულების სხეულებზეც მრავლად სახლობენ პარაზიტები. სრკონიც, ცხადია, არ იქნებოდა ამ მხრივ გამონაკლისი. უფრო მეტიც: ჯერ ერთი, სრკონის სხეული გატენილი იყო სხვადასხვა ჯურის მილითობით პარაზიტით; მეორეც, ეს პარაზიტები სრულად განსხვავდებოდნენ სხვა ურჩხულების პარაზიტებისაგან იმით, რომ არანაირი წესი და კანონი მათთვის არ არსებობდა. რომელ პარაზიტსაც რა მოუვიდოდა აზრად, იმას აკეთებდა. სპობდა ირგვლივ ყველას და ყველაფერს. თუ რომელიმე სხვა ურჩხულის სხეულზე გადასახლდებოდნენ, უცებ ამბტუებდნენ იქაურობას, აურევდნენ, აწფოლებდნენ იქაურ პარაზიტებს, აწიოკებდნენ, ღანჩვტდნენ. დაისხლიოანებდნენ ურჩხულს. ამ უცნაურობის გამო წითელი ურჩხულის პარაზიტებს სრკონიტები შეარქვეს. მათი ამოცნობა ძალიან ხდვილი იყო, სხვა რომ არაფერი, ჭუჭყის სუნით გამოარჩევდა კაცი მათ სხვა მსგავსი არსებებისაგან. ისე კი უნდა ითქვას, რომ სრკონიტების სხვა ურჩხულთა სხეულებზე მოხვედრას ზოგჯერ სრკონის შავი ხიფებით უწყობდნენ ხელს. რაც შეეხება სრკონის ხიფები, ისინი დედამიწის ყველა კუნთულ-კუნთებს სწვდებიდნენ. წყხდა მთელი ურჩხულეთი, აღარ იცოდნენ, რა გზას დასდგომდნენ, როგორ მოეშორებინათ თავიდან წითელი სრკონი.. არადა, ბუნების კანონების თანახმად, უფარგისი, უცნაური, მშვიერ-მწყურვალი და ასე დიდი რაოდენობით სხვადასხვა ჯურის პარაზიტებისგან დახრული ურჩხული უნდა დასუსტებულიყო და მომკვდარიყო! იყო კიდევ ბევრჯერ ამის ნიშნები, მაგრამ ურჩხულის დასუსტებასა და სიკვდილს ამაღდ ელოდნენ..

შეშინებული ურჩხულები ხშირად იჭრებოდნენ და აწყობდნენ გგგმებს, როგორ

მოეშორებინათ თავიდან სრკონი. ბოლოს სხვა ხერხებთან ერთად, ერთი ასეთი ხერხი გამოიყენეს დაივირს! ნაქმუნ-ნაქმი როგეს სრკონიტები და ურჩხულები ერთად თელს ტრჩხულის ტანზე. ზოგი დააწიბოუოეს, აღიარეს, გვერდში ამოიყენეს. ზოგი მოატყუეს, ზოგი მოწოდეს და ისე შეაგ. ზაუნეს სრკონის ორგანიზმში, იმდენი ჭნეს, რომ წითელი ურჩხული შიმშილით სიკვდილის პირას მიიყვანეს — სრკონი დასუსტდა და წაიქცა..

გაუსკლავ შიშით გულები ურჩხულებს.. — არიქა, დავაპუროთ, სანამ ჩვენზე წამოვლენო! — დაიყვირეს და სადაც აწელი და ახალი რამ მოეძევებოდათ, მოხიკეს და გამოზიდეს, აყრიდნენ და აყრიდნენ დამშეული სრკონის თავებს ხანებში.

— როგორმე ისევ უნდა შევეერთოთ, ერთ კონად მაინც შევეკათ, თორემ სულ მოლოკვენ მთელ დედამიწას ეს ცეცხლისმფრქვეველი გველშაპებო! — თქვა ერთმა და დაუჯერა ყველამ.

არადა, ახალი საშიშროება მოედო ურჩხულეთს: სრკონი ევებდა! — ვაერად ნმა სრკონიტებში და პარაზიტთა ურიცხვი კოლონა მოსხტდა გავერანებულ სრკონის ტანიდან და მოედო სხვა ურჩხულებს. შეწუნებულნი, შეშფოთებული და გაღარეული ურჩხულები ბუზანკალშემძვრალი მოზურბივით ხტოდნენ და სხმარტალებდნენ. — ეგმბა როგორმე თავიდან მოვიცილოთ სრკონიტებიო, — მაგრამ ველარაფერს აწყობდნენ..

თავების რად შეკონვის მომხრებმა ერთ ხანს კიდევ მოახერხეს გამჭვირვალე ჯაჭვის სრკონთა კისრებზე შემოხვევა, მაგრამ გამხეცებულ, დამბეულ, ერთმანეთზე დაეგზოლ სრკონებს რომ ერთმანეთთან მიაახლოენ, უარესს არ იხამენ? მართლაც ჭნეს და უფრო მეტად დაეროენენ ერთმანეთს, დაწყვიტეს გამჭვირვალე ჯაჭვი და დაქამენ ერთმანეთის, თითქოს მოისპო, გაღნდგონ და წითელი ურჩხული, მაგრამ მისი ლეშინად ამოსულმა მყარლმა გაზებმა, საშომლავიანმა შოთავსმა და დედამიწა მოდებულმა სრკონიტებმა სისხლისფრად შეღებეს მთელი ურჩხულეთი.. ერთიმეორის მიყოლებით ეცემოდნენ ურჩხულები, გადააშენდა მრავალი მათგანი, სამაგიეროდ, აზვთდა და აფუთფუთდა პარაზიტების სამყარო.. სრკონიტებმა სხვა ურჩხულთა პარაზიტებით თავიანთ ყიდდაზე მოაქციეს..


შეწუხებული, ტანჭული ჩვენი დედამიწა მხოლოდ შიის ამოსვლასა ელოდა: ის იყო ერთადერთი იმედი! მისი მოქნილი სხივები ხომ ანათებს ყველაფერს, რომ აღწყეს ყველა ჯურღმულში? პარაზიტებსაც სწორედ მშისა ემინიოთ, სინათლისა ემინიოთ!

„ამოცა მზე ოდესმე?!“ — ფიქრობდა დამწუხებული დედამიწა.


„ამოცა, აბა, რას იზამს?!“ — უპასუხებდა თავის თავს!

ჭირი იქა, ლხინი აქა; ჰატო იქი, ფქვილი აქი..

ოპ, ეს ფქვილი მაინც არ გეხსენებინაო! — მეტყვით! უკაი..



— ტყუილად ელოდებით უფროსს!  
გაფიცა. ათმაგ ხელფასს თხოუ-  
ლობს..



— ალბათ ჩვენზე კიდევ რაღაც უკუღმა უნდა თქვან!

# კვირ დღე

— რა არის ამ წანდუკში, ახე ძვირად რომ  
ყიდი?!  
— ფულის საბეჭდი დაზგაა შიგა!



— ღმერთო, შენი სახელის ჳირი-  
შე! კერძო ტაქსის ერთი საწყალი  
კატრონი გემუდარები: ყველა სახის  
ტრანსპორტის მძღოლი გამოფიცე!



საქართველოს  
ბიზნესი  
ბიზნესი

# საქართველო, თემურ

ი უ მ რ კ ა ნ ს ა

ფირფაქო რადიომშენებლობა ახლკ გამოგეცემთ ამინდი ბიუროს ცნობა. დღეს დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ცვალებადი მდროუნილულობა, ალაგალაგ წვიმა, სუსტი ქარი ტემპერატურა ბარში — 10-15, მთაში — 5-8 გრადუსი სითბო, აღმოსავლეთ საქართველოში, ძირითადად უნაღვეო ამინდია მოსალოდნელი, ტემპერატურა ბარში — 8-12, მთაში — 2-4 გრადუსი სითბო. შირაქისა და ელდარის საძოვრებზე ტემპერატურა დამით — მინუს 0-2, დღისით — 6-8 გრადუსი სითბო თბილისში შშრალი ამინდია მოსალოდნელი.

— უკაცრავად, თამრი, შირაქისა და ელდარის საძოვრებზე ვერას მოგახსენებ, მაგრამ ავერ, ფანჯრიდან ვხედავ, ასე წამოიშალნენ დოლიძის ქუჩიდან ღრუბლები, რომ აუცილებლად იწვიმებს თბილისში.

— მაშ ასე, ძვირფასო რადიომშენებლებო, როგორც ჩვენმა კოლეგა თემურმა გვაუწყა, დღეს თბილისში ღრუბლიანი ამინდია მოსალოდნელი, იწვიმებს კიდევ... მე ბოდიშს გიხდით, სინოპტიკოსების მიერ მოწოდებული ცნობის შეუმოწმებლად გადაცემის გამო, ფანჯრიდან ცოტა მოშორებით ვხივარ... თემურ, ბარემ ტემპერატურა დაგეზუსტებინა? გაყავი, ერთი, ხელი!

— ახლავე, თამრი! ჩვენი ოთახის ფანჯარა არ იღება, სავეტი მოეშალა, გვერდით ოთახში გაველ!

— გელოდებით, თემურ!  
— თამრი, დღეს თბილისში 10-15 გრადუსი სითბო იქნება!

— გამლობთ, თემურ!  
— მეგობრებო! ტემპერატურა დღეს თბილისში იქნება 10-15 და არა 5-8 გრადუსი სითბო, როგორც სინოპტიკოსები გვატყობინებენ, პეირის ატმოსფერული წნევა კი — 750 მ. მ.

— რაღაც მეგეკება, თამრი, დღეს თბილისში ატმოსფერულმა წნევამ 700 მ. მ.ს გადააჭარბოს!

— თემურ, შენი პროგნოზი ატმოსფერული წნევის შესახებ ყოველთვის ზუსტია და ამჯერადაც გენდობით! შეგიკალი ხელში, მაგრამ სხვა გზა არა მაქვს, ბარემ ქარის მიმართულებაც დაგვიზუსტე, რაღაც მეგეკება ჩემს ხელთ არსებული ცნობისა, სამსახურში რომ მოვიდოდი, სახეში მცემდა ქარი.

— რა გაქვს საბოდიშო, თამრი, ახლავე გაგიგებ!

— გელოდები, თემურ!

— ძვირფასო რადიომშენებლებო! ახლავე შემოვა თემური და მოგააწყდის ზუსტ ცნობას! დიან, ახლავე შემოვა! საცაა, შემოაღებს კარებს! ბოდიშს გიხდით, რომ თემურს შეაგვიანდა! შემოვა, ალბათ, აბა, აღ წავა!

აი, მისი ფეხის ხმა! გულის, ალბათ, დღეს თანში.

— სადა ხარ, თემურ, დაგაგვიანდა!  
— უკაცრავად, თამრი, ბოდიში მოვხადე რადიომშენებლებს! დეოფანში ბუჭუს შევეფეთე, გადმოკარგული მქონდა თვალები, ხელი ჩამავლო, ლულაზე შევაჩებოდა, დოლიძის დავისხენი... თავი...

— რა ბიარბენინებდა ამ დალოცვილ სამსახურში, რამ გადაარია ამ რა დრო, ლუდი!

— დემოთმა იცის მაგის ამბავი... დიან, თამრი, აღმოსავლეთის მიმართულებით უბევრავს დღეს ქარი!


— ძვირფასო რადიომშენებლებო! როგორც მე მოგახსენეთ და თემომაც დაგვიდასტურა, დღეს თბილისში იქროლებს არა დასავლეთის, არამედ აღმოსავლეთის მიმართულებით ქარი!

— თემო, შემოგველე, ზომ არ გაგიზომავს, რა სისწრაფით იქროლებს წამში?

— 15-20 მეტრი სისწრაფით, თამრი!

— გეთანხმები, თემურ, კიბზე რომ ამოვიდოდი, ისე ამიფრიალა კაბა, თუ მეტიც არა, ნაკლები სიჩქარით არ იქროლებს... ამ ცნობის მიხედვით კი 10-15 მეტრი უნდა მეთქვას!

— გმადლობთ, თემურ!  
მოძვეალ შეხვედრომდე, ძვირფასო რადიომშენებლებო.



ნ.ბ. 8. აბაშიძისა

საქსორობი  
ბანუფილუვა

საქსორობი  
საქსორობი

ბანიბა, ღარიშხანს უი-  
ლით თუჩვე საზღვარბა-  
რათ და, აბარ, ჩვენი სუ-  
ლი მოგიყვანათ-სუ-  
ფთა ღარიშხანია!..



### აღმოჩენილია ახალი დავადება!..

იუზო რაქაძე

ჩივილიანი: უგულობა, ზიზღი ხალხისადმი, ადამიანური  
ბრძნობის დაკარგვა, ხიუვარული ძალაუფლებისა და სხვისი ცო-  
ლებისადმი, მისწრაფება იმპორტული საქონლის შეძენისადმი, მადის  
გაძლიერება ისეთი დიფერციალური სახურსათო პროდუქტების მი-  
მართ, როგორცია: ხიზილადა, ზუთბი, კალმახი, სუკი...

მბრძნობა: ხილული ღორწოვანი გარსები — მწრა-  
ლი: მხედველობა — გაურკვეველი, არაფრისმთქმელი: გულის ტო-  
ნების მოსმენა და არტერიული წნევის გაზომვა ვერ ხერხდება!  
აუსკულტაციით ფილტვებში მკვრივი სუნთქვა; პალპაციით დვიდი  
და ელენთა ქვის კონსისტენციისა.

ვაშატოლოგიურ-ლაბორატორიული მონაცემები:  
სისხლის ანალიზი და კოაგულოგრაფია ვერ კეთდება ორგანიზმში  
სისხლის არარსებობის გამო!

ზარდში — სუკეფესო აქოპოლური სახმელების კვლი...  
რანტგენოლოგიურად — გულია და ფილტვების  
საზღვრები არ აღინიშნება.

კლინიკურ-ლაბორატორიული გამოკვლევების საფუძველზე დაი-  
ხვა დიაგნოზი: **ფუნქციონირების დაბზბდობა!**

მკურნალობა: თერაპიის რადიკალური მეთოდი პიროვ-  
ნების დაჟვრენებლივი გათავისუფლება დაკავებული თანამდებობი-  
დან როგორც წესი, ამის შემდეგ სახწრაფოდ ქრება უველა ზემო-  
ჩამოთვლილი ჩივილი და ხიშტობი!

ბრძნობა: სამედიცინო თვალსაზრისით ცხოვრებისათვის  
ეთილსაიმედოა, თუ სამსახურიდან მოხსნამდე არ დაიჭირეს!

დაავადება პირველად აღმოჩნდა თბილისში 1988 წელს (გარკ-  
ვეული მიზეზების გამო, დღემდე იგი ოფიციალურად ვერ აღ-  
წერე).

როგორც საქართველოს რეზუბლიკის ანდაცვისა და სოც-  
ურუნველყოფის სამინისტროდან მაცნობებს, ჩემი აღმოჩენა პრე-  
მიაზე წარუდგენიათ!

გურამ ხუციშვილი,  
მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

**ტაუნი** ვსკიარნობდი ერთ არტუ ისე მსუბუქი ყოფაქცევის მანდილოსანთან და შემთხვევით ვიპოვე ბუჩქებში გადამალული დიდი ჩანთა (ბუჩქებში რა გვინდოდა?! — ვიჭექით და ვისვენებდით). ჩანთაში ელაგა დიდძალი თანხა, დაახლოებით მილიონ მანეთამდე (სულ ასმანეთიანები). ოქრო-ვერცხლი, ოქროს ბეჭდები, სამაჯურები და საათები, ბრილიანტის თვლები და ძვირფასი სამკაულები, ლატარიის ბილეთები, ობლიგაციები, დოლარები, ქალის ბიუსტპალტერები!..

ყველაფერ ამას პატრონს დავუბრუნებ იმ შემთხვევაში, თუ მომიტანს ცნობას იმის შესახებ, თუ საიდან შეიძინა ამდენი სამდიდრე და თუ ზუსტად მეტყვის ფულის, სამკაულების, ბეჭდების, ლატარიის ბილეთების, ობლიგაციების, დოლარების რაოდენობას, ოქრო-ვერცხლის წონას, ბიუსტპალტერების ფერსა და ზომებს!

**ჩემს** სოფელში ჩემივე ეზოდან გავიდა და აღარ დაბრუნებულა კვერცხმდებელი დედალი, წონით 1 კგ და 155 გრამი (ბუმბულიანად). ქათმის გარეგნული ნიშნებია: მარცხენა ფეხზე შებმული აქვს წითელი ძაფი, მარჯვენა ფეხი მოტეხილი აქვს და კოჭლობს, მარჯვენა ფრთა შეღებილი აქვს ლურჯი მელნით (მეზობლების ქათმებისაგან რომ გამოვიცნო), თავზე აქვს პატარა კრილობა (მეზობლის მამალს არ დანებდა და, იმ უსინდისომ ჩაუნისკარტა).

თუ ვინმემ თვალი მოჰკრას, ან ფეხი წაჰკრას ასეთ ქათამს, ვთხოვ მაეცნობოს, ან დაკლული გამომიგზავნოს მისამართზე: უმატრონო რაიონი, სოფელი საქათმია, ბებრეკა ქაოჰაძენს!

**საომიონო** მალაზიასთან დოკლაპია ქმარს დაეკარგა ახალგაზრდა, ლამაზი ცოლი. ქალის გარეგნული ნიშნები: არის საშუალოზე ოდნავ მაღალი. მაგნიტივით მიმზიდველი.. ტანი აქვს ქანდაკებასავით ჩამოსხმული. მკერდი — წინწამოწეული, თეთრი. ჩაკეცილი წელი, ჩამრგვალებული თეძოები, ოდნავ მსხვილი, თეთრი ფეხები, ბროლის ყელი, ხალიანი ტუჩი, გაბადრული სახე, ზღვისფერი თვალები, ლამაზი წარბ-წამწამები, მხრებზე ჩამოშლი-



ლი დალალები. ქალს მოხურული აქვს გამკვირვალე, ნაქსოვი მოსახამი, რომელშიც სხეულის ყველა ნაკვთი ჩანს.

ლამაზმანი სიარულისას ლერწამივით ქანაობს. ილიმება და თავისი გარეგნობით უნებლიედ იზიდავს ყველას, განსაკუთრებით სექსუალურად აქტიურ მამაკაცებს!..


თუ ვინმეს გინახავთ ასეთი იშვიათი გარეგნობის ქალი, ვთხოვთ დარეკოთ შინაგან საქმეთა განყოფილებაში, ან მიიყვანოთ იქ და უფროსის მოხელამდე. ხელწერილით ჩააბაროთ პასუხისმგებელ მორიგეს!

**შეხვედრებული** არ მყოლია არასდროს. არც — ცოლი, არც — სა-

ყვარელი და არც მიზნა. მყავდეს! ვარ ძალზე ბნირი. თუ ვინმე ცოლად გამომყვება, სიკვდილის შემდეგ, ახდერძით, მთლიანად ვუტოვებ ჩემს უძრავ-მოძრავ ქონებას — ერთ რვა კვადრატული მეტრი ფართის ძველ, გაურემონტებელ, ჩაბნელებულ, არაბოლირებულ ოთახს უტელეფონოდ და უსარდაფოდ მაქვს ორი ცალი სპილენძის ტაშტი. ერთა ნაგვის ვედრო, საერთო საცხოვრებლის სასადილოდან მოპარული შვიდი თევზი, რომელსაც რუსულად აწერია: „ობშჩებიტ“, მაქვს აგრეთვე ორი სკამი, ორი დანგრეული ხის ტახტი, ერთი ძველი კარადა, ორი კოვზი და სხვა წვრილმანი საოჯახო ნივთები!..

მეუღლედ ვისურვებდი მან-20 წლის ქალს, რომელსაც დაქვეითებული ექნება ყურთასმენა და მეტყველება, ქალწული იქნება თუ არა, ამას ჩემთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს — მთავარია, კიქა წყალი მომაწოდოს და სიკვდილამდე მომიაროს!

**ვანო ცინცაძე**



# საქმე

# საქმე



**აიხსა ერთ მოთხრობადად**

**დედა**

**მამა**

**ბათი გოგონა ბრახინა**

**ქალი**

**მორაქობი (ველური ვარდის ბუჩქშია მიმაღული).**

**მოთხრობა ხდება ხალხი**

დედა (ტკბილად): გრაჟინკა!

გრაჟინკა: რა იყო, დედიკო?

დედა: „რა იყო“ კი არა, „გისმენ!“

გრაჟინკა: რა იყო, ვისმენ, დედიკო?

დედა: შენი ქლიავი უკვე დამწიფდა, შეგიძლია, მოწყვიტო!

გრაჟინკა: მადლობელი ვარ, ჩემო ტკბილო დედიკო!

დედა: მაშ, წადი, წადი და მოწყვიტე ქლიავი! სწორედ საშენთა! მამაშენმა მითხრა, უკვე დამწიფდა! პოდა, ნუ მოგერიდება, მოწყვიტე შენი ქლიავი, ჩემო გრაჟინკა!

გრაჟინკა: ალბათ, გემრიელი იქნება.

დედა: შეკამე, შეილო, ღმერთმა შეგარგოს!

გრაჟინკა: ჩემს ხეზე დამწიფდა ქლიავი! ტრალა-ლა-ლა-ლა!..

ქალი (გამოჩნდება კუტიკართან): ბრაქალა თქვენი გამარჯობათ, ბატონებო! ვაიმოს, შეილო!

გრაჟინკა: დედიკო, ნეტა რა უნდა ამ ბებრუხანას ჩვენგან?! რა უწო და საზიზლარი გომბეშოა! (ენას უყოფს დედაბერს). მე მარტო ჩემი დედიკოს შეილი ვარ!

მამა (ხაფი, შედიდური ხმით): რა ხდება მანდი?

დედა: ვილაცა დედაკაცი შეუჩნდა გრაჟინკას! მოდი, ნახე!

მამა (შეცრად): რას ეძებთ, ქალო?! ვერა ხედავთ, ეს ჩვენი გზაა, ჩვენი კუტიკარი, ჩვენი ბაღი, ჩვენი ქლიავის ხე, ჩვენი გოგონა.. თუ გინდათ, მილიციას გამოვუძახო?

ქალი: მე მხოლოდ გაამოთმეთქი გითხარით!..

დედა: ბავშვს ისე აუშალა ნერვები, ლამის აღებინოს! აბა, ახლა მოუსვით აქედან!

მამა (ხელს ჰკრავს დედაბერს): წადი, თორემ ძაღლებს მოგისევ! გაეთრიე! (გულში იზნუტებს გრაჟინკას). ჩემს გოგონას აღებინებს!..

მამამისი თავში ჩასცხებს დედაბერს. იგი ეცემა, უტყდება ხის ფეხი, თავს არტყამს ქვას და კვდება!..)

დედა: ღმერთო, ეს რა მოგვივიდა?! რა-ლა გვეშველება?! იქით ნუ იყურები, გრაჟინკა, შედი თალარში და შეკამე შენი ქლიავი!

გრაჟინკა თალარისკენ გარბის.

მამა: ახლა ამას უნდა მივხედოთ!

დედა: კიდევ კარგი, რომ ახლომანლო არავენ ჩანს! ეს რა საქმე გვიყო ამ ბებერმა ხვალაგმა?!

მამა: სასწრაფოდ უნდა ავილოთ და მიწაში ჩავფლათ! მოიტა ბარი, ამოთხარე მიწა!.. აბა, გაინძერი!

დედა: ასე რატომ დავგსაჯა ღმერთმა, ან კი რა უნდოდა ამ გადარძლებულ ბებერს ჩვენთან?!

მამა: ბავშვებს აწინებენ!.. აბა, ჩქარა, ბარი მომიწოდე!..


დედა და მამა თხრიან ორშოს. მამა გვამს ორშოში აგდებს და მიწას აყრიან, მერე სამარეზე თესავენ ყვავილებს, ბალახს, ოხრახუშსა და ა.შ.

გრაჟინკა (თალარიდან): ოპ, რა ტკბილი ქლიავია, დედიკო!

პოლონურიდან თარგმნა

გიორგი მაჭუტაძემ.

ნახ. ბ. ზუბაშვილისა



# მეგობარი

## განცხადება

● ცოლი ღვინის სმას მიერ დაღვდა და გავეყარი მსურველებს შეუძლიათ დააძლონ მას რომ შერიგება მთხოვოს!

● აბაბოგორიულად ვითხოვ ახალი მოდის შემოსვლა ჩემს ცოლს არავინ შეატყობინოს!

● ვიდრე სადემთოლოს არ გავათხოვებ, პირად ბედნიერებაზე თავს ვიკავებ!

● მის რულიადაც არ ვარ ცრუმორწმუნე, მაგრამ მაინც მაინტერესებს, თუ რა დაემართება თეთრ კატას, შავმა კატამ რომ გადაუჭრას გზა?!

## დილოვაგი

— შენს სიდედრს თავს ვეფხვი დასხმია! — თანაგრძნობით ატყობინებენ სიძეს.

— მერედა, გადარჩა ვეფხვი?! — შეშფოთებული სახით კითხულობს სიძე.

\*\*\*

— მომკლა კბილის ტკივილმა! — შესჩივლა ცოლმა ქმარს.

— კარგია, კარგია!

— რა არის კარგი?! — აღშფოთდა ცოლი.

— ორი კბილი რომ არ გტკივია!

## გივი ჯაფელაშვილი

## საინტერესოა, ვიცოდეთ!..

დღეს არ მიკვირს, კოსმოსში რომ მიფრინავენ! არც ის მიკვირს, მთვარეზე რომ სხდებიან! ალბათ, სულ მალე მარსზედაც დაფრინდებიან!..

მე ის მიკვირს და მოცებს, თბილისის კაფეებში გასაყიდად გამო-

ტანილ პურსა და ძეხვს, ბუტერბროდად რომ ყიდიან, რა იარაღით ჭრიან ისე თხლად!

● სულელი თუ ხარ, ამის დამტკიცება ადვილია, ჭკვიანი თუ ხარ, ამის დამტკიცება ძნელი!

\*\*\*

ჩვენი მტრები ღობე-ყორეს ედებიან. უკუღმართი თავს გვაჩვენებს წალმართად!..

საქართველო ქართველების ედემია, ურჯულოს სურს, წაგვგლიჯოს და წაგვართვას!

სამშობლო გვაქვს სალოცავი ერთი, და წაგვართვას ახლა ვინ?! საქართველო ქვეყანაა ღმერთის, განა, მგლების სახრავი?!

## ნუნუ პართლელიშვილი

## მეგობარო!

აირია მონასტერი! — ძალი პატრონს ვეღარა ცნობს, ვერც მეწაღე კერავს წაღებს, პურს მეპურეც ვეღარ აცხობს!..

არც — ცელქების ყრიაშული, — თვითონ ანციც ვეღარ ანცობს!.. ქალს ქალობა დაეკარგა, კაციც უკვე ვეღარ კაცობს!..

რალა ვუთხრათ ნოზრეს, გოგის, პატიოსნად მშრომელ ანდროს, — თავი როგორ გაიტანონ, ითადლითონ მათაც ამ დროს?!

ხალხს ღიმილი მოენატრა.  
ზოგი ონრავს, ზოგიც დარდობს!  
ალბათ, ას წელს ვიფრინდებიან...  
რომ არ მოვსწრებოდით ამ დროს!..

ჯაურ აბუთიძე

## მრალდავა რიკოშაბით

გაფლანგვისათვის მიუსაჯეს სახედარს ციხე.

ჩაჯდა დიდყურა, შეუბრუნეს უკუღმა კენი!..

მოინახულეს მეგობრებმა.

თავისთან იხმეს

და უთხრა მეღამ

თავისებურ მანჭვით და გრეხით:

— ზორცის დანაკლისს გაბრალებენ, ძმობილო, იცი?!

— ბლომად ჭამაო, ასე მოიხრეს, — დაუროთ მგელმაც.

გაწყვიტა ქვეყნად არსებობა ცხენის და კვიცის.

ცხვარი და ღორი აქციოთ გამოზრულ ძვლებად!

— თავს ვერ ვიმართლებ, დამნაშავეს, აბა, რა მეთქმის?!

ესეც მეყოფა სასჯელად და უღვევლ დარდად.

მაგრამ, გთხოვთ, ერთი დაიხსომოთ, იწამოთ ღმერთი:

ხორცს ვერ ვეწყობი, ვერაფერს ვკამ, ბალახის გარდა! —

თქვა სახედარმა სინანულით, ცოლ-შვილის ფიცით

და თან განაჩენს შეუროგდა, უხმოდ გაყურდა,

რადგან ყველაზე მძიმე არის, თქვენც კარგად იცით,

სხვისი ქურდობის დამალვა და თვალის დახუჭვა!

## ვალერიან მამუკალაშვილი

# ჩემი მეგობარი?

გლუხკაცთან ვარ, მისი მოძვე,  
ვევაჭრები რადიო!..  
მთა და ხარში გაწრდილ მოწვევებს  
„ვოლგის“ ფახად უიღის!..

აგერ ერთი აქებს დედალს,  
ღმერთს იუენებს მოწმედ:  
— მანეთიან კვერცხებს დებს და  
სამოც თუმნად მოგცემ!

ხად ვიშოვი მე ფულს ამდენს,  
კაცი არ ვარ ჩარხი! —  
გაუფტქვენილად ცრემლებს მადენს  
საყიდელი ხახვი!..

ნივრის სუნი კაცს თუ აგდის,  
გულს იტკობენ ყნოსვით,  
რადგან ნიორს ფასი ადევს  
ფრანგულ სუნამოსი!..



# საქმური აკროზი

## მოხარული საათი

ნიუ-იორკის პოლიციაში აღელვებული ადა-  
მიანი შეგარდა!..  
— ძალიან გთხოვთ, მომისმინოთ! წუხელის დაგი-  
რეკეთ, საათი მომპარეს-მეთქი, დღეს კი სააბაზანოში  
ვიპოვე!..  
— სამწუხაროდ, ვერაფერს გიშველით, ქურდი უკვე  
დაჭერილია! — მიუგო მორიგემ.

## შეფი

პაპბარბ იასმა მამამის გული გაუწყალა:  
— მამო, ვინ არის შეფი?  
მამო შეეცადა, პოპულარულად აეხსნა ყოველივე შეფი-  
ლისთვის:  
— შეფი ის კაცია, შეილო, რომელიც კანტორაში  
ყოველთვის გვიან მოდის, თუ შენ ადრე მიხვედი და  
ყოველთვის ადრე მოდის, როცა შენ დააგვიანებ!

თარგმანი ბიშან ასათიანსა

ეს სიძვირე თოქოს მათრობს.  
მივაბიჭებ ვერც კა!..  
სივარტებს უახანოლად  
უკლიათ ცეცხლი!..



გაშვიდველის ვიცი შადა,  
გული მიწყებს ზანზარს, —  
შალაზია დაამსგავსა  
მოყაყანე ბაზარს!..

კარაქი და ხორცი — ძვირი,  
უვედში მთხოვენ შამალს!..  
არ კითხულობს კაციშვილი, —  
ჩამაგირი რა მაქვს?!

## ალექსი სუტიშვილი (ქ. ხაჩხერე)

მხრანალი „ნიანია“  
№ 13-14. (1863). ივლისი.  
გამოდის 1923 წლის ივლი-  
სიდან.

საბჭოთაო  
მთავარედაქმნის  
ვახუშტი

სარედაქციო კოლეგია:

მურთან ახალი, ავთანდილ  
ადიშვილი (პასუხისმგებე-  
ლი მდივანი), ჭახუა ამირა-  
ქანი, რომელი ბარბაია,  
რევაზ თვარაძე, ქენდა  
ლოლა (მხატვარ-რედაქ-  
ტორი), ნოდარ მალაზო-  
ნია, რევაზ მანუჩაძე,  
აფიქსანდრე სამხარია, ბე-  
გან სიმარტლიძე (მთავარი  
რედაქტორის მოადგილე),  
ქანუდ ჩარკვიანი, თამარ  
წიქიანი.

## ტექნიკური რედაქტორი არაკლი დვინჯი

გადაცა ასაწყობად 19.06  
92 წ. ხელმოწერილია  
დასაბეჭდად 12. 08.  
92 წ. ქალაქის ზომი  
ბოX90<sup>1</sup>/<sub>8</sub>, ფიზიკური ნი-  
ბეჭდი ფურცელი 3. საად-  
რიცვლო-საგაფორმ მცემ მლო  
თამბი 3,6. საქართველოს  
ქურნალ-გაზეთების გამო-  
ცემლობა „საშრობლო“.  
შეკვ. №10.54. ტირ, 63 000.  
ქურნალი გამოდის თვეში  
ორჯერ, რედაქციაში შე-  
მოსული მასალები ავტო-  
რებს არ უბრუნდებათ.

ჩვენი მიხმართა: 188888.  
თბილისი-მ, რედაქციის  
პოსტბეჭედი № 42.

ტელეფონები: მთავარი რე-  
დაქტორის — 99-55-54,  
მთ. რედ. მოადგილის —  
93-19-42, 3/8 მდივანს —  
93-10-78, მხატვარ-რედაქ-  
ტორის — 99-02-38, გან-  
ვლენებისთა გამგეების —  
93-49-32, რედაქტორ-ლიტ-  
მუშაების — 99-02-38, მდი-  
ვან-მემაქანის — 99-76-69.

Сатирико - юмористи-  
ческий журнал «НИ-  
АНГИ» (на грузинском  
языке). Тбилиси, пр.  
Руставели № 42.

ფასი 5 მან.  
ინდექსი 76137

## ასაკი ხელს არ მიწყობს!..

სინის უფროსმა თავისთან იხმო პატიმარი, რო-  
მელსაც სასჯელის ვადა დაუმთავრდა.  
— თქვენ თავისუფლდებით, — მიმართა უფროსმა, —  
იმედი მაქვს, აწი მიინც შეუღლებით წესიერ ცხოვრებას!  
— ეპ, ბატონო უფროსო, — ამოიხსრა პატიმარმა, —  
იმ ასაკში აღარა ვარ, ექსპერიმენტებს რომ მიემართოს!..

## ზღვის სანაპიროზე

სანაპიროზე მეტისმეტად სიმბოლურ კოსტი-  
უმში გამოწყობილ ქალიშვილთან პოლიციელი მივიდა:  
— რას იტყვის დედათქვენი, ამ კოსტიუმში რომ  
განახოთ?  
— გაგიუდებია! ეს ხომ მისი კოსტიუმია!..



„ტყე შეუწახე შვილებსა!..“

ნახ. ვ. შორაპისა